GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

I ნაწილი: ჟურნალისტიკის მაგისტრი /Master of Journalism
II ნაწილი: ჟურნალისტიკის კვლევის მაგისტრი /Research Master of Journalism

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
I ნაწილი: 60 კრედიტი
II ნაწილი: 60 კრედიტი

სწავლების ენა: ინგლისური

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის აღწერა:
მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ემსახურება დამოუკიდებელი მედიის განვითარებას, პლურალისტური და თავისუფალი მედია გარემოს გაძლიერებას, სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობას; პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიონალი ჟურნალისტებისა და მედია ანტრეპრენერების მომზადებას, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებას და შეუძლიათ ადგილობრივი და მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული კონტექსტის გააზრება, დემოკრატიის სტიმულირება და მისი ყველა დონეზე გაძლიერება, მუშაობენ პირადი და ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების გათვალისწინებით და მოქალაქეებს აწვდიან მიუკერძოებელ ინფორმაციას ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად.

პროგრამის მიზანი:
სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და ჩამოუყალიბოს:

- ღრმა და სისტემური ცოდნა მულტიმედია ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის პრინციპების, სტანდარტების, უახლესი ტენდენციებისა და მიდგომების შესახებ;
- მედია პროდუქტის შექმნისთვის აუცილებელი უახლესი ტექნიკური ინსტრუმენტების გამოყენების უნარი;

- მულტიმედია ჟურნალისტიკასა და მედია მენეჯმენტში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიზზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- პროფესიული წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი პროფესიული ინგლისურის და კომუნიკაციის უნარი;
- მიღებული ცოდნის სინთეზისა და პროფესიული ზრდისთვის აუცილებელი ტრანსფერული უნარი;
- პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული მტკიცე ღირებულებათა სისტემა და პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი;

პროგრამის მიზანი:
სამაგისტრო პროგრამის II ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და ჩამოუყალიბოს:
- ღრმა და სისტემური ცოდნა მულტიმედია ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის პრინციპების, სტანდარტების, უახლესი ტენდენციებისა და მიდგომების შესახებ;
- მედია პროდუქტის შექმნისთვის აუცილებელი უახლესი ტექნიკური ინსტრუმენტების გამოყენების უნარი;
- მულტიმედია ჟურნალისტიკას, მედია მენეჯმენტსა და მედიაკვლევაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიზზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- პროფესიული წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი პროფესიული ინგლისურის და კომუნიკაციის უნარი ;
- მიღებული ცოდნის სინთეზისა და პროფესიული ზრდისთვის აუცილებელი ტრანსფერული უნარი;
- პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული მტკიცე ღირებულებათა სისტემა და პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის **I ნაწილზე** სწავლის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის I ნაწილზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:
1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში;
2) საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:
- დოკუმენტაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას;
- გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), ინგლისური ენის გამოცდიდან განთავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს ((TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე;
- გამოცდა სპეციალობაში (ზეპირი ფორმით), რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესისდამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის **II ნაწილზე** დაშვების წინაპირობაა ამავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილის დასრულება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-4მუხლის, 11 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

სწავლის შედეგები

პროგრამის I ნაწილის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და გადის შვიდ მაჩვენებელზე, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობა საკვანძო კომპეტენციებს. ეს შედეგებია:

შედეგი 1

მაგისტრი სიღრმისეულად აღწერს ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკის, მედია მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებს, სტანდარტებს, უახლეს ტენდენციებსა და მიდგომებს. აცნობიერებს და იაზრებს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და ანტრეპრენერობის პრაქტიკულ ასპექტებსა და პროფესიასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ გარემოს.

შედეგი 2

მაგისტრი იყენებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომისა და ციფრული მედია პროდუქტის წარმოებისთვის ყველა საჭირო უახლეს ტექნიკურ საშუალებას (ვიდეო და ფოტო კამერები, მობილური ტელეფონები, სამონტაჟო პროგრამები, ხმის ჩამწერი მოწყობილობები, განათების სისტემები, მედია პროექტების წარმოებისა და განხორციელების სხადასხვა ციფრული პლატფორმა, და ა.შ.);

შედეგი 3

მაგისტრი დამოუკიდებლად და ოპერატიულად ახორციელებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომის შექმნისთვის საჭირო ყველა ოპერაციას, ამბის მოძიებიდან მის გავრცელებამდე; არჩევს და აწარმოებს სხვადასხვა პლატფორმასთან შესაბამისი მედია პროდუქტის ფორმას და შინაარს; წარმართავს ციფრული მედია პროდუქტის წარმოების პროცესის თითოეულ ეტაპს და როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდურად ასრულებს პროდუქტის შექმნისათვის აუცილებელ ყველა როლს; ქმნის მაღალი პროფესიული ხარისხის ჟურნალისტურ ნაშრომებს, მულტიმედიურ პროექტებს და საკუთარ მედია პლატფორმებს; მაგისტრი ქმნის რეალისტურ ბიზნეს მოდელს და მოქმედებს როგორც ანტრეპრენერი ჟურნალისტი; ქმნის და ავითარებს ინოვაციურ ფორმატებს, პროცესებსა და პროდუქტებს.

შედეგი 4

მაგისტრი იძიებს, ამუშავებს და აანალიზებს ახალ და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ ინფორმაციას; ამუშავებს, აანალიზებს, აორგანიზებს, ასინთეზირებს და საფუძვლიანად აფასებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს; სიღრმისული კვლევის საფუძველზე მოძიებულ ფაქტებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით ქმნის

ობიექტურ, დაბალანსებულ და მიუკერძოებელ მედია პროდუქტს; განსაზღვრავს ამბის ფოკუსს და პრიორიტეტულობას, ასევე, სამიზნე აუდიტორიას და მის საჭიროებებს; აფასებს მედია პროდუქტის/სტარტაპის პოტენციალს და მის დროულობას/საბაზრო რელევანტურობას;

შედეგი 5
მაგისტრი ინგლისურ ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან ამყარებს კომუნიკაციას; ეფექტიანად, პროფესიონალურად წარადგენს პროექტის კონცეფციებს, წინადადებებს, განხორციელების გეგმებს ფორმატისა და ვადების დაცვით (წერილობით და ვერბალურად); ნაყოფიერად და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მუშაობს გუნდში.

შედეგი 6
მაგისტრს ადეკვატურად გადააქვს მიღებული ცოდნა და ათვისებული უნარ-ჩვევები სხვა კონტექსტში და განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტურად იყენებს მათ, რაც ასევე მოიცავს სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და პრინციპის ინტეგრირებას და ცოდნის მუდმივ განახლებას.

შედეგი 7
მაგისტრი იაზრებს დამოუკიდებელი მედიის როლს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების პროცესში; აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რაც ჟურნალისტის, ანტრეპრენერის, და მედია მენეჯერის პროფესიულ საქმიანობას ახლავს თან; იცავს ჟურნალისტიკის სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს, სხვა პროფესიულ სტანდარტებს და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკის სფეროს განვითარებაში; აცნობიერებს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მნიშვნელობასა და პლურალისტული და თავისუფალი მედია გარემოს არსებობის აუცილებლობას.

სწავლის შედეგები
პროგრამის II ნაწილის სწავლის შედეგებია:

შედეგი 1
მაგისტრი სიღრმისეულად აღწერს ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკის, მედია მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებს, სტანდარტებს, უახლეს ტენდენციებსა და მიდგომებს, ასევე, მედიაკვლევის უახლეს პრინციპებსა და მეთოდოლოგიებს. აცნობიერებს და იაზრებს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და ანტრეპრენერობის პრაქტიკულ ასპექტებსა და პროფესიასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ გარემოს.

შედეგი 2
მაგისტრი იყენებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომისა და ციფრული მედია პროდუქტის წარმოებისთვის ყველა საჭირო უახლეს ტექნიკურ საშუალებას (ვიდეო და ფოტო კამერები, მობილური ტელეფონები, სამონტაჟო პროგრამები, ხმის ჩამწერი მოწყობილობები, განათების სისტემები, მედია პროექტების წარმოებისა და განხორციელების სხადასხვა ციფრული პლატფორმა, და ა.შ.);

შედეგი 3

მაგისტრი დამოუკიდებლად და ოპერატიულად ახორციელებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომის შექმნისთვის საჭირო ყველა ოპერაციას, ამბის მოძიებიდან მის გავრცელებამდე; არჩევს და აწარმოებს სხვადასხვა პლატფორმასთან შესაბამისი მედია პროდუქტის ფორმას და შინაარს; წარმართავს ციფრული მედია პროდუქტის წარმოების პროცესის თითოეულ ეტაპს და როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდურად ასრულებს პროდუქტის შექმნისათვის აუცილებელ ყველა როლს; იყენებს მედიაკვლევის მეთოდოლოგიებს, რის შედეგადაც გეგმავს და ახორცილებს გამოყენებით ან აკადემიურ კვლევას; ქმნის მაღალი პროფესიული ხარისხის ჟურნალისტურ ნაშრომებს, მულტიმედიურ პროექტებს და საკუთარ მედია პლატფორმებს; მაგისტრი ქმნის რეალისტურ ბიზნეს მოდელს და მოქმედებს როგორც ანტრეპრენერი ჟურნალისტი; ქმნის და ავითარებს ინოვაციურ ფორმატებს, პროცესებსა და პროდუქტებს.

შედეგი 4

მაგისტრი იძიებს, ამუშავებს და აანალიზებს ახალ და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ ინფორმაციას; ამუშავებს, აანალიზებს, აორგანიზებს, ასინთეზირებს და საფუძვლიანად აფასებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს; სიღრმისული კვლევის საფუძველზე მოძიებულ ფაქტებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით ქმნის ობიექტურ, დაბალანსებულ და მიუკერძოებელ მედია პროდუქტს;აკადემიურ კვლევაზე დაფუძნებით ავითარებს არგუმენტირებულ მოსაზრებას; განსაზღვრავს ამბის ფოკუსს და პრიორიტეტულობას, ასევე, სამიზნე აუდიტორიას და მის საჭიროებებს; აფასებს მედია პროდუქტის/სტარტაპის პოტენციალს და მის დროულობას/საბაზრო რელევანტურობას;.

შედეგი 5

მაგისტრი ინგლისურ ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან ამყარებს კომუნიკაციას; ეფექტიანად, პროფესიონალურად წარადგენს პროექტის კონცეფციებს, წინადადებებს, განხორციელების გეგმებს ფორმატისა და ვადების დაცვით (წერილობით და ვერბალურად); ნაყოფიერად და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მუშაობს გუნდში.

შედეგი 6

მაგისტრს ადეკვატურად გადააქვს მიღებული ცოდნა და ათვისებული უნარ-ჩვევები სხვა კონტექსტში და განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტურად იყენებს მათ, რაც ასევე მოიცავს სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და პრინციპის ინტეგრირებას და ცოდნის მუდმივ განახლებას.

შედეგი 7

მაგისტრი იაზრებს დამოუკიდებელი მედიის როლს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების პროცესში; აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რაც ჟურნალისტის, ანტრეპრენერის, მკვლევარის და მედია მენეჯერის პროფესიულ საქმიანობას ახლავს თან; იცავს ჟურნალისტიკის სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს, სხვა პროფესიულ სტანდარტებს და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკის სფეროს განვითარებაში; აცნობიერებს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მნიშვნელობასა და პლურალისტული და თავისუფალი მედია გარემოს არსებობის აუცილებლობას.)

ჟურნალისტიკის და მედიამენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის მიზნების და შედეგების რუკა							
მიზნები/შედეგები	შედეგი 1: ცოდნა	შედეგი 2: ტექნიკური უნარები	შედეგი 3: პრაქტიკა	შედეგი 4: კრიტიკული ანალიზი	შედეგი 5 ტრანსფერი და კომუნიკაცია	შედეგი 6: ტრანსფერი	შედეგი 7: ღირებულებები
ჟურნალისტიკის და მედიამენეჯმენტის ძირითადი პრინციპებისა და სტანდარტების ღრმა ცოდნა	X						
ციფრული მედია პროექტების შექმნისათვის აუცილებელი უახლესი ტექნიკური ინსტრუმენტების ფლობა		X					
ჟურნალისტიკასა და მედია მენეჯმენტში შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი			X				
კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიზზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი				X			
კომუნიკაციის უნარი					X		
ტრანსფერული უნარი						X	

მტკიცე ღირებულებათა სისტემისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბების უნარი							X

ჟურნალისტიკის და მედიამენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის II ნაწილის მიზნების და შედეგების რუკა							
მიზნები/შედეგები	შედეგი 1: ცოდნა	შედეგი 2: ტექნიკური უნარები	შედეგი 3: პრაქტიკა	შედეგი 4: კრიტიკული ანალიზი	შედეგი 5 ტრანსფერი და კომუნიკაცია	შედეგი 6: ტრანსფერი	შედეგი 7: ღირებულებები
ჟურნალისტიკის და მედიამენეჯმენტის ძირითადი პრინციპებისა და სტანდარტების ღრმა ცოდნა	X						
ციფრული მედია პროექტების შექმნისათვის აუცილებელი უახლესი ტექნიკური ინსტრუმენტების ფლობა		X					
ჟურნალისტიკას, მედია მენეჯმენტსა და მედიაკვლევაში შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი			X				

კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიზზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი				X			
კომუნიკაციის უნარი					X		
ტრანსფერული უნარი						X	
მტკიცე ღირებულებათა სისტემისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბების უნარი							X

სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☒ ელექტრონული სწავლება

☒ სიმულაცია

☒ სხვა

აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, News Room სიმულაციები (საინფორმაციო გადაცემის წარმოების სიმულაცია) და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო პროექტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო პროექტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:
სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სტუდენტებს აძლევს საშუალებას, განვითარდნენ პროფესიულად და წარმატებული კარიერა შეიქმნან მედიისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სამაუწყებლო (ტელევიზია, რადიო), ონლაინ, ბეჭდურ მედიასა და წარმოების სტუდიებში (პროდაქშენ სტუდიები), ან თავიანთ მიერ შექმნილ მედია სტარტაპებში. ასევე კვლევით, საკონსულტაციო და კომუნიკაციის სხვა მომიჯნავე სფეროში (მეორე ნაწილის დასრულების შემთხვევაში).

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:
მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს ამავე პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის II ნაწილის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მედიის და კომუნიკაციის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს, ასევე შეუძლია სწავლა განაგრძოს ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:
მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე გამოიყენება და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლები) შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება ელექტრონული მართვის მონაცემთა

ბაზა „”Portal.gipa.ge”. ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელები:

ანა ქეშელაშვილი, პროფესორი

რუსთავის გზატკეცილი 22ა
თბილისი, 0114, საქართველო

მობ: 595 902 905
e-Mail: a.keshelashvili@gipa.ge

ნინო მახვილაძე, ასისტენტ პროფესორი

რუსთავის გზატკეცილი 22ა
თბილისი, 0114, საქართველო

მობ: 599 700 970
e-Mail: n.makhviladze@gipa.ge

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა
პროგრამის I ნაწილი

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[1]	
				I წელი				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი					
				I	II				
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები				**20**	**26**				
1.	MFC 610	არ გააჩნია	ჟურნალისტური ოსტატობა	5/125				32	93
2.	MFC 612	არ გააჩნია	ფოტოჟურნალისტიკა	5/125				32	93
3.	MFC 613	არ გააჩნია	მედია სამართალი და ეთიკა	5/125				32	93
4.	MFC 623	არ გააჩნია	მედია ბიზნესი და ანტრეპრენერშიპი	5/125				26	99
5.	MFC 620	MFC 610	გაძლიერებული ჟურნალისტური ოსტატობა		5/125			32	93
6.	MFC 622	არ გააჩნია	პოდკასტი და აუდიო ამბის თხრობა		6/150			44	106
7.	MFC 624	არ გააჩნია	სოციალური მედია		4/100			20	80
8.	MFC 633	MFC 610 MFC 612	გაძლიერებული ვიდეო რეპორტაჟის წარმოება		6/150			56	94

[1] დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

9.	MFC 630	MFC 610 MFC 621 MFC 612	მულტიმედიური ამბის თხრობა		5/125			32	93
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები									
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები ჯგუფი 1 - პროდაქშენის/წარმოების საგნების ჯგუფი - სტუდენტი ირჩევს 5 კრედიტს									
1.	ELC 601	არ გააჩნია	დოკუმენტური კინოს წარმოება		5/125			44	81
2.	ELC 602	არ გააჩნია	ტრანსმედია პროექტების წარმოება		5/125			44	81
3.	ELC 603	არ გააჩნია	საგამოძიებო ჟურნალისტიკა		5/125			26	99
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები ჯგუფი 2 - მედია მენეჯმენტის საგნების ჯგუფი - სტუდენტი ირჩევს 5 კრედიტს									
4.	ELC 612	არ გააჩნია	მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და ეფექტური კომუნიკაცია	5/125				26	99
5.	ELC 613	არ გააჩნია	მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა	5/125				26	99
6.	ELC 604	არ გააჩნია	მედიის ორგანიზაციული მართვა	5/125				26	99
7.	ELC 611	არ გააჩნია	მედია ეკონომიკა	5/125				26	99
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები - სტუდენტი ირჩევს 4 კრედიტს									
8.	ELC 615	არ გააჩნია	ევროპული მედია სამართალი	4/100				20	80
9.	ELC 605	არ გააჩნია	მედიის პროგრამული სტრატეგიები	4/100				20	80

10.	ELC 606	არ გააჩნია	ფონდების მოძიება	4/100				20	80
11.	ELC 607	არ გააჩნია	კონფლიქტის და ომის გაშუქება	4/100				20	80
12.	ELC 608	არ გააჩნია	ბიზნესის გაშუქება	4/100				20	80
13.	ELC 609	არ გააჩნია	გარემოს დაცვის გაშუქება	4/100				20	80
14.	ELC 610	არ გააჩნია	არჩევნების გაშუქება	4/100				20	80
15.	ELC 614	არ გააჩნია	ხელოვნური ინტელექტი ჟურნალისტებისთვის	4/100				20	80
ჯამში კრედიტები - სემესტრულად				**29**	**31**				
ჯამში კრედიტები - პირველი ნაწილი				**60**					

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა
პროგრამის II ნაწილი

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
						II წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი					
						III	IV		
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები						**25**	**30**		
1.	MFC 611	I ნაწილის დასრულება	ანალიტიკური და კრიტიკული წერა			5/125		20	105
2.	MFC614	I ნაწილის დასრულება	მასკომუნიკაციის თეორიები			5/125		26	99
3.	MFC 621	I ნაწილის დასრულება	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მასობრივი კომუნიკაციის სფეროში			5/125		44	81
4.	MFC 634	I ნაწილის დასრულება	თვისებრივი კვლევის მეთოდები მასობრივი კომუნიკაციის სფეროში			5/125		26	99
5.	MFC 635	I ნაწილის დასრულება	მედია კონტენტ ანალიზი			5/125		26	99

[2] დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები - 5 კრედიტი									
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები - სტუდენტი ირჩევს 5 კრედიტს									
6.	ELC 620	I ნაწილის დასრულება	მედია, ნაციონალიზმი და დემოკრატიზაცია			5/125		26	99
7.	ELC 621	I ნაწილის დასრულება	საზოგადოებრივი აზრი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში			5/125		26	99
სამაგისტრო პროექტი:							**30**		
1.	PRP 650	30 ECTS	სამაგისტრო პროექტი				30		
ჯამში კრედიტები - სემესტრულად						30	30		
ჯამში კრედიტები - მეორე ნაწილი						60			

კურიკულუმის რუკა

კურიკულუმის რუკაში პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული სავალდებულო საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში, თუ რომელი საგნის შესწავლა იწვევს რომელ შედეგზე გასვლას, შესაბამისი დონის აღნიშვნით. საგნები ჩაშლილია სამ დონედ - ა) გაცნობაზე ორიენტირებული კურსები (I-Introduction); ბ) გაღრმავებაზე ორიენტირებული კურსები (D -Develpment) გ) განმტკიცებაზე ორიენტირებული კურსები (M - Mastering). საგნისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი დონის აღმნიშვნელი ინდიკატორი - I, D ან M.

რუკის ანალიზში გამოყენებულია მხოლოდ სავალდებულო საგნები.

სწავლის შედეგები პროგრამის I ნაწილი	**შედეგი 1:**	**შედეგი 2:**	**შედეგი 3:**	**შედეგი 4:**	**შედეგი 5:**	**შედეგი 6:**	**შედეგი 7:**
ჟურნალისტური ოსტატობა	I		I	I	I	I	
ფოტოჟურნალისტიკა	I	I	I		I		I
მედია სამართალი და ეთიკა	I		I	D	I	I	I
მედია ბიზნესი და ანტრეპრენერშიპი	D		D	D	D	I	
მულტიმედიური ამბის თხრობა	D	D	D	D	D	D	D
გაძლიერებული ჟურნალისტური ოსტატობა	D		D	D	D		D

პოდკასტი და აუდიო ამბის თხრობა	D	D	D	D	D	D	D
სოციალური მედია	I	I	I	D	D	D	D
გაძლიერებული ვიდეო რეპორტაჟის წარმოება	D	D	D	D	D	D	D

სწავლის შედეგები პროგრამის II ნაწილი	**შედეგი 1**	**შედეგი 2**	**შედეგი 3**	**შედეგი 4**	**შედეგი 5**	**შედეგი 6**	**შედეგი 7**
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მასობრივი კომუნიკაციის სფეროში	D	D	D	D	D	D	D
ანალიტიკური და კრიტიკული წერა	I		I	I	I		
მასკომუნიკაციის თეორიები	I			D	I	I	
თვისებრივი კვლევის მეთოდები მასობრივი კომუნიკაციის სფეროში	D	D	D	D	D	D	D
მედია დისკურსის, ფრეიმინგისა და რეპრეზენტაციის ანალიზი	D	D	D	D	D	D	D
სამაგისტრო პროექტი	M	M	M	M	M	M	M

დანართი №1
პროგრამის ხელმძღვანელების რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ანა ქეშელაშვილი			
თანამდებობა	აკადემიური პერსონალი, პროფესორი			
სამუშაო ადგილი	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	595 902 905	ელ-ფოსტა:	a.keshelashvili@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დისერტაცია: *Adoption of Innovations Among Georgian Journalism Educators: A Network Analysis Perspective* სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტი, 2015 წელი კვლევის სფეროები: ჟურნალისტური ეთიკა და პროფესიული სტანდარტები, მედია კომუნიკაცია, ინოვაციების დიფუზია			
პუბლიკაციები	**სამეცნიერო პუბლიკაციები და სახელმძღვანელოები** Tsomaia, T. and Keshelashvili, A. (2021). How to Respond to Information Operations While Preserving Our Commitment to Free Speech and the Free Flow of Ideas? *Georgia's Information Environment and Russia's Influence.* NATO Strategic Communications Centre of Excellence. Upcoming Tsomaia, T. and Keshelashvili, A. (2019). Georgia: On the way to quality journalism education in *Accreditation and Assessment of Journalism Education in Europe: Quality Evaluation and Stakeholder Influence* by Eva Nowak [ed.]. Nomos, Baden-Baden, pp. 51-64. Mortensen, T. M., Jones, J., & Keshelashvili, A. (2015). Dear Citizen Photojournalists: Who are you? Studying the motivations and values of citizen photojournalists. Photographies, 8(2), 211-230. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/17540763.2015.1066651 Mortensen, T. B., Keshelashvili, A. & Weir, T. (2015): Who We Are. A Q-study of types of citizen journalists. *Digital Journalism*, DOI: 10.1080/21670811.2015.1053506 https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/21670811.2015.1053506?journalCode=rdij20			

Keshelashvili, A. (2014). Innovation among Georgian journalism educators: A network analysis perspective (Doctoral dissertation, University of South Carolina). https://scholarcommons.sc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4004&context=etd

ქეშელაშვილი, ა., ნაჭყებია, თ., პაიჭაძე გ. და ასათიანი ს. (2013) ვიდეო ადვოკატირების სახელმძღვანელო. პროექტი ჰარმონია, თბილისი, საქართველო https://docs.google.com/viewer?url=http%3A%2F%2Fcivics.ge%2Fuploads%2Fvideo_advocacy_manual.pdf

Mortensen, T. B., & Keshelashvili, A. (2013). If Everyone with a Camera Can Do This, Then What? Professional Photojournalists' Sense of Professional Threat in the Face of Citizen Photojournalism. *Visual Communication Quarterly,* 20(3), 144-158. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/15551393.2013.820587

Trammell, K.D., & Keshelashvili, A. (2005). Examining the new influencers: A self-presentation study of A-List blogs. *Journalism & Mass Communication Quarterly*, 82 (4), 968 - 982. http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/107769900508200413

გამოყენებითი კვლევითი პროექტები:

Internews (2021). *Georgia: An Information Ecosystem Assessment* https://internews.org/resource/georgia-information-ecosystem-assessment/

European Journalism Training Association (EJTA) research project (2019) *Journalistic Roles, Values and Qualifications in the 21st Century; how journalism educators in Europe view the future of a profession in transition.* https://www.ejta.eu/sites/ejta.eu/files/2019%2004%2012%20DROK%20Report%20RVQ.pdf

Keshelashvili, A., Danelia, N., and Kakabadze. N., (2012). Mapping Digital Media – Georgia. Country report. *Open Society Institute https://www.opensocietyfoundations.org/reports/mapping-digital-media-georgia*

საკონფერენციო მოხსენებები

Mikashavidze, M., Keshelashvili, A. & Menabde, M. (2021). Who is afraid of online arguments? Self-censorship in Georgia's social media discourse, ICA pre-conference "Comparative Perspectives on Negativity, Incivility, and Toxic Talk in Political Discussion", May 27, Online

Makharadze, A., Keshelashvili, A., & Kharbedia, E. (2019). Georgian Journalism Educators in the Post-Truth Era, WJEC Paris, July, 8-12

Kharbedia, E., Keshelashvili, A., & Makharadze, A. (2019). Verification Practices in Georgian Online Media. IAMCR, July 7-11, Madrid. Conference proceedings.

Keshelashvili, A. (2016) "Adoption of Innovations among Georgian Journalism Educators." Presented at EJTA Teachers' pre-conference session. Paris, October, 27, 2016

Keshelashvili, A. (2015). "Informal Networks of Educators and Innovations at Journalism Schools." Research Escalator presentation at ICA 65th Annual Conference, San Juan, Puerto Rico, May 22-25, 2015.

Keshelasvhili, A. (2015). "Georgian Journalism Educators: Implementing Innovations." Presented at ICA 65th Annual Conference, San Juan, Puerto Rico, May 22-25, 2015

Mortensen, T. B., Keshelashvili, A. & Weir, T. (2015). "Who We Are. A Q-study of types of citizen journalists." Presented at ICA 65th Annual Conference, San Juan, Puerto Rico, May 22-25, 2015

Danelia, N. & Keshelashvili, A. (2014). "Internet is an important medium for youth political participation in Georgia." Presented at AEJMC 39th Southeast Colloquium, Gainesville, FL, March 20-22, 2014. (Top Student Paper in Newspaper and Online Division)

Keshelashvili, A. (2013). "Gatekeepers in Social Networks: What They Care About." Paper presented at Beyond Convergence: Mobile, Social, and Virtual Media conference, Las Vegas, NV, October 24-26, 2013.

Keshelashvili, A., & Cardell, K. (2013). "Placing Blame and Seeking Solutions: Media Framing of School Shootings." Presented at AEJMC, Washington DC, August 8-11, 2013. (Best Student Paper award in Mass Communication and Society Division)

Buehner, T. & Keshelashvili, A. (2013). Comparing the Ethics of citizen photojournalists and professional photojournalists: A coorientational study. Presented at AEJMC, Washington DC, August 8-11, 2013.

Keshelashvili, A. (2012). Global Voices – Motivation to Volunteer. Presented at Convergence and Society conference, Columbia, SC, September 27-28, 2012.

Keshelashvili, A. & Trammell, K. D. (2005). Impression Management and Self-presentation Online: An Analysis of Popular Blogs. Presented at National Communications Association, Boston, November 17-20, 2005.

პროგრამის ხელმძღვანელების რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ნინო მახვილაძე			
თანამდებობა	აკადემიური პერსონალი, ასისტენტ პროფესორი			
სამუშაო ადგილი	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	599700970	ელ-ფოსტა:	n.makhviladze@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, დისერტაციის თემა: *Between Protest and Pressure: Independent Media and Public Service Broadcasting in Georgia* კვლევის სფეროები: მედია ბიზნეს მოდელები, ჟურნალისტური სტანდარტები, მიგრაციის გაშუქება			
პუბლიკაციები	**კვლევითი პროექტები** Abzianidze, N., Makhviladze, N., & Tsomaia, T. (2026). *Political parallelism and geopoliticization of migration in the Georgian media: Analyzing migration framing after Russia's invasion in Ukraine*. Manuscript accepted/to be published in *Eurasian Geography and Economics*, special issue. Basilaia, E., & Makhviladze, N. (2020–2025). *Vibrant Information Barometer (VIBE): Georgia*. Annual research project. International Research & Exchanges Board (IREX). Tsomaia, T., Abzianidze, N., & Makhviladze, N. (2021). *Migration coverage by Georgian media in 2019–2021*. Research funded by the International Centre for Migration Policy Development (ICMPD) and EU for Georgia.			

Basilaia, E., & Makhviladze, N. (2019). *Media Sustainability Index (MSI): Georgia*. International Research & Exchanges Board (IREX). https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2019-georgia.pdf

Basilaia, E., & Makhviladze, N. (2018). *Media Sustainability Index (MSI): Georgia*. International Research & Exchanges Board (IREX). https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2018-georgia.pdf

Basilaia, E., & Makhviladze, N. (2017). *Media Sustainability Index (MSI): Georgia*. International Research & Exchanges Board (IREX). https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2017-georgia.pdf

Basilaia, E., & Makhviladze, N. (2016). *Media Sustainability Index (MSI): Georgia*. International Research & Exchanges Board (IREX). https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2016-georgia.pdf

Basilaia, E., & Makhviladze, N. (2015). *Media Sustainability Index (MSI): Georgia*. International Research & Exchanges Board (IREX). https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2015-georgia.pdf

საკონფერენციო მოხსენებები

Makhviladze, N. (2026, June). *Between protest and political pressure: Independent media and public service broadcasting in Georgia* [Research presentation]. Department of Communication Sciences, University of Santiago de Compostela, Santiago de Compostela, Spain.

Makhviladze, N., & Abzianidze, N. (2025, January). *Media coverage of immigration induced by the war in Ukraine: The case of Georgia* [Panel presentation]. CESS-ESCAS International Conference, *Geopolitics, Migrations and Identities in Central Eurasia*, Lisbon, Portugal.

დანართი №2
ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ნინო მახვილაძე	ასისტენტ-პროფესორი	• მედია ბიზნესი და ანტრეპრენერშიპი • მედიის პროგრამული სტრატეგიები • სამაგისტრო პროექტი
2.	ანა ქეშელაშვილი	პროფესორი	• რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მასობრივი კომუნიკაციის სფეროში • ანალიტიკური და კრიტიკული წერა • მედია კონტენტ ანალიზი • თვისებრივი კვლევის მეთოდები მასობრივი კომუნიკაციის სფეროში • სამაგისტრო პროექტი
3.	თინათინ ცომაია	პროფესორი	• გაძლიერებული ჟურნალისტური ოსტატობა • სამაგისტრო პროექტი
4.	თინათინ ნაჭყებია	ასისტენტ-პროფესორი	• პოდკასტი და აუდიო ამბის თხრობა • დოკუმენტური ფილმის წარმოება • სამაგისტრო პროექტი
5.	მაია მიქაშავიძე	პროფესორი	• ფონდების მოძიება, • საზოგადოებრივი აზრი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში
6.	ნინო ჯაფიაშვილი	პროფესორი	• მულტიმედიური ამბის თხრობა, • მედია სამართალი და ეთიკა • ხელოვნური ინტელექტი ჟურნალისტებისთვის • სამაგისტრო პროექტი

7.	ნინო ორჯონიკიძე	პროფესორი	• გაძლიერებული ვიდეო რეპორტაჟის წარმოება • დოკუმენტური კინოს წარმოება • სამაგისტრო პროექტი
8.	ელენე ასათიანი	ასისტენტ პროფესორი	• ტრანსმედია პროექტების წარმოება
9.	ნინო აბზიანიძე	ასოცირებული პროფესორი	• მედია, ნაციონალიზმი და დემოკრატიზაცია
10.	ეკატერინე ბასილაია	ასისტენტ პროფესორი	• მასკომუნიკაციების თეორიები • სამაგისტრო პროექტი
11.	ეკატერინე შალუტაშვილი	ასისტენტ პროფესორი	• გარემოს დაცვის გაშუქება
12.	ანა დავითაშვილი	მოწვეული ლექტორი	• გაძლიერებული ვიდეო რეპორტაჟის წარმოება
13.	დავით ბიწაძე	მოწვეული ლექტორი	• მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა
14.	მირიან ჯუღელი	მოწვეული ლექტორი	• მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და კომუნიკაცია
15.	სოფო მეგრელიძე	მოწვეული ლექტორი	• კონფლიქტის და ომის გაშუქება • ჟურნალისტური ოსტატობა • სამაგისტრო პროექტი
16.	ზურაბ ხრიკაძე	მოწვეული ლექტორი	• არჩევნების გაშუქება
17.	თეონა გოდერძიშვილი	მოწვეული ლექტორი	• სოციალური მედია
18.	მაკა გოგალაძე	მოწვეული ლექტორი	• ფოტოჟურნალისტიკა
19.	მამუკა ანდღულაძე	მოწვეული ლექტორი	• მედია სამართალი და ეთიკა • ევროპული მედია სამართალი

20.	მედეა ღვაბერიძე	მოწვეული ლექტორი	• მედია ეკონომიკა
21.	მარგარიტა ანთიძე	მოწვეული ლექტორი	• ბიზნესის გაშუქება • ჟურნალისტური ოსტატობა
22.	ლაშა კვესელაძე	მოწვეული ლექტორი	• საგამოძიებო ჟურნალისტიკა
23.	ნინო შოშიტაიშვილი	მოწვეული ლექტორი	• მედიის ორგანიზაციული მართვა • მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და კომუნიკაცია • სამაგისტრო პროექტი
24.	ნანა აბურჯანიძე	მოწვეული ლექტორი	• მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა
25.	დავით მძინარიშვილი	მოწვეული ლექტორი	• ფოტოჟურნალისტიკა